პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 7 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# კომუნისტი

150 (848) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## კონკურსი საუკეთესო ბიბლიოთეკარსა და მკითხველზე.

„წიგნის კვირა" დაიწყო. ამ კამპანიის ჩატარებას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა ნაწილებმა. „წიგნის კვირა" საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი ბიბლიოთეკების გაუმჯობესებისა და წიგნის ფართოდ გავრცელების საქმეს წითელ ჯარში.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ბიბლიოთეკების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და წითელ არმიელთა ფართო მასის წიგნისაკენ მიზიდვა ერთ კვირაში არ შეიძლება.

ამისათვის უფრო ხანგრძლივი დრო და სისტემატიური, ენერგიული და დაუღალავი მუშაობაა საჭირო.

ამიტომაც საბიბლიოთეკო მუშაობის წასახალისებლად, მისი ყველა მხარეების გამოსარკვევად და აგრეთვე იმის გასაგებათ თუ რამდენად გაიზარდა მკითხველთა რიცხვი, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტსამმართველომ გამოაცხადა კონკურსი—შეჯიბრი საუკეთესო ბიბლიოთეკარსა და მკითხველზე. ცხადია ამ კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ნაწილებიც.

კონკურსი გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. ეს ვადა საკმაოდ დიდია. ამ ხნის განმავლობაში სავსებით შეიძლება საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის გამორკვევა.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონკურს მისი წარმატებით ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ რამდენათ აქტიურად გამოეხმაურება მას წითელ არმელთა ფართო მასა და ნაწილების ყველა ხელმძღვანელები.

კონკურსის მთელ პერიოდში ფართოდ უნდა იქმნას გაშუქებულ ჩვენი ბიბლიოთეკების ყველა მიღწევები და ნაკლი. აგრეთვე საჭიროა სისტემატიურად წერა იმის შესახებ, თუ რამდენად იზრდება მკითხველთა რაოდენობა, რომელი მკითხველი უფრო ცნობილია თავისი ხშირი კითხვით და კარგი მოპყრობით წიგნისადმი, როგორია ბიბლიოთეკარია და სხვა.

ერთი სიტყვით ამ მხრივ საწერი აუარებელია.

კონკურსის პირობები ხვალ გამოქვეყნდება. საჭიროა მხოლოდ, რომ საკონკურსო მასალები უხვათ მოაწოდონ სამხედრო კორესპონდენტებმა ჩვენს გაზეთს. რაც უფრო მეტი რიცხვი წითელარმიელებისა მიიღებს მონაწილეობას ამ შეჯიბრში, მით უფრო ნაყოფიერად დამთავრდება ის, მით უფრო წინ წაიწევს საბიბლიოთეკო საქმე და ფართოდ გავრცელდება წიგნი.

წითელ-არმიელებო, მეთაურებო, პოლიტ-მომუშავენო! სწერეთ თქვენი ბიბლიოთეკების ყველა მიღწევებზე და ნაკლზე, აღნიშნეთ თითეული გამარჯვება წიგნის ახალი მკითხველთა შეძენის ფრონტზე!

## პროლეტარულ სასამართლოს განაჩენი სამართლიანია.

საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა გერმანელ ფაშისტებს.

სხვაფრად არც შეიძლება, რომ ყოფილიყო. სასამართლოს პროცესზე თავიდან ბოლომდი გამოაშკარავდა ამ სამი ფაშისტის ბნელი მოღვაწეობა და ზრახვები. ამ გასამართლებამ დაგვანახვა აგრეთვე, თუ რა ფართე ფანგლებში მუშაობს ფაშისტური რეაქცია ჩვენს წინაალმდეგ.

ძველი დახავსებული ბურჟუაზიული ევროპა ვერ ითმენს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს არსებობას. მან იცის, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლიუციის დასაყრდენობი ადგილია. ამიტომაც არის, რომ ბურჟუაზია ყოველივე საშვალებას ხმარობს ჩვენს წინაალმდეგ ბრძოლაში. გერმანიის ფაშისტურ ორგანიზაციამ „კონსულმა" გამოგზავნა ჩვენში სამი თავისი ტერორისტი, რომლებსაც დაავალა ამხ. ტროცკის და ამხ. სტალინ-ჯუღაშვილის მოკვლა. მაგრამ ეს მათ არ გაუმართლდა.

საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი მტრების განსაცვიფრებლად მეტის მეტად ფრთხილი და ფხიზელი აღმოჩნდა. სანამ ფაშიზმის აგენტები შეასრულებდნენ თავის საზიზღარ საქმეს, მუშურ გლეხურ ხელისუფლებამ ჩასვა ისინი ციხეში, ხოლო შემდეგ გაასამართლა. ეს არ მოეწონა ბურჟუაზიას. ის აღშფოთდა და განრისხდა. მაგრამ მისი აღშფოთება ერთი ორად გაიზარდა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ფაშიზმის წიწილებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. და აი მთელი ბურჟუაზიული პრესა გერმანიაში აყაყანდა, ის გესლს ანთხევს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ და ბრაზმორეული მუქარის მუშტებს იქნევს.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიის სტუდენტ-ტერორისტების საქმის შესახებ.

### ჩვენ ვამარცხებთ ფაქტებით და საბუთებით.

**ამხ. იაროსლავსკის განცხადება.**

იაროსლავსკიმ რომელიც თავმჯდომარეობდა უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფაშისტების გასამართლების დროს, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში სხვათა შორის განაცხადა:

„რომ გეპეუს არ დაეპატიმრებია კინდერმანი, ვოლშტი და დიტმარი, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, თუ რით გათავდებოდა საქმე."

შეკითხვაზე, მოახდენს თუ არა რაიმე გავლენას გერმანიის საზოგადოებრივ აზრზე განაჩენი, მე მეძნელება პასუხის გაცემა.

ვუყუროთ, ის ისედაც სარგებლობდა უმნიშვნელო მიზეზებით, რომ ჩვენს წინაალმდეგ გავრცელებია საზიზღარი ცილისწამება. გერმანიაში ამ სამი წლის განმავლობაში იმდენი საშინელი განაჩენი გამოიტანეს კომუნისტებზე, რომ ჩვენ მიერ ფაშისტების საქმეზე გამოტანილი განაჩენი შედარებით უმნიშვნელოა.

მაგრამ ჩვენ რასაკვირველია საბუთებით უნდა გავაშუქოთ ეს საქმე გერმანიის საზოგადოებრივი აზრის წინაშე და ბურჟუაზიულ ცილისწამებასა და სიცრუეს დავუპირდაპიროთ ფაქტები.

## ბერლინის პრესის გაბოროტებული სისინი.

ბერლინის პრესა აშკარა მუქარით უპასუხებს განაჩენს გერმანიის ფაშისტების, კინდერმანის, ვოლშტისა და დიტმარის შესახებ.

ნაციონალისტების გაზეთი „კრეიც ცეიტუნგი" სწერს: „მოსკოვის პროცესი ფართედ მოფიქრებული გამოსვლაა უცხოეთის ბურჟუაზიის წინაალმდეგ და გერმანიის გამოწვევაა"-ო.

„ლოკალ ანცეიგერი" ელოდება, რომ გერმანიის მთავრობა გადასდგამს ნაბიჯს ამის წინაალმდეგ.

სტინესის ჯგუფის ორგანო ამბობს, რომ განაჩენი არის საშინელი უსამართლობა და პოლიტიკური გამოწვევა, რაც, გაზეთის აზრით, ზიანს მიაყენებს სსრკ-ს, მით უფრო რომ ანტანტა ერთიანი ფრონტის შექმნას აპირებს მის წინაალმდეგო.

სოციალ-დემოკრატების გაზეთი წინასწარმეტყველობს, რომ განაჩენი აღშფოთებას გამოიწვევს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრშიო.

ბერლინის პოლიც პრეზიდიუმთან ახლო მყოფი გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობა ჩაერევა საქმეში, როგორც კი მიიღებს ოფიციალურ ანგარიშს პროცესის შესახებო.

ფინანსიურ წრეებთან ახლოს მყოფი გაზეთი უწოდებს სტუდენტების პროცესს „მოუფიქრებელ თამაშს მართლმსაჯულებაში", მაგრამ მაინც გამოსთქვამს იმედს, რო გერმანიისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა არ დაირღვევაო.

ეს სავსებით გასაგებია და ბუნებრივია. გერმანიის რეაქცია, რომელიც ასობით ხვრეტს მუშებს და აუარება სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს კომუნისტებისათვის, დღეს მთელ ქვეყანას შესჩივის იმის შესახებ, რომ თავისი განაჩენით „მოსკოველებმა ფეხქვეშ გასთელეს სამართლიანობის სიდიადე". როცა ბურჟუა—სიკვდილით სჯის კომუნისტ—მუშას—ეს სამართლიანობაა მისთვის. როცა სიკვდილის განაჩენი გამოაქვთ ფაშისტებისათვის, რომლებმაც განიზრახეს მშრომელ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების მოკვლა, ის სასტიკი წინაალმდეგია ამის და მყისვე იწყებს ლაპარაკს ჰუმანიურობაზე და კულტურაზე.

მაგრამ არა თუ მარტო ბურჟუაზია არის აღშფოთებული ამ განაჩენით, არამედ გერმანიის სოციალ—დემოკრატიაც, აი რა გათახსირებამდე მივიდენ გერმანელი მენშევიკები. ისინი გამოესარჩლენ მუშათა კლასის დაუძინებელ და შეურიგებელ მტრებს—ფაშისტებს. როცა გერმანიის ბურჟუაზია ხვრეტდა მუშებს, ასამართლებდა კომუნისტებს სოციალ-დემოკრატია სდუმდა, ხოლო როცა საბჭოთა ხელისუფლებას სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს ფაშისტებისათვის, ის დორბლ მორეული ყვირის სამართლიანობაზე.

ამით გერმანელ მენშევიკებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავისი ერთგულება ფაშიზმისადმი, ხოლო მტრობა და ღალატი მუშათა კლასისადმი.

დეე! იყვიროს გერმანიის ბურჟუაზიამ რამდენიც უნდა. დეე! მის ბრაზს თავისი გველური სისინი შეუერთოს გამყიდველ სოციალ-დემოკრატიამ.

საბჭოთა სასამართლოს განაჩენი სამართლიანია.

ჩვენ არ შეგვიძლია ხელდაკრეფილი ვიყოთ, როცა რეაქცია სცდილობს ჩვენს აფეთქებას. თითეულ მის ცდას ჩვენ ძირშივე მოუღებთ ბოლოს.

ჩვენ ვიცით რომ ეს არ მოსწონს ბატონ კაპიტალისტებს და მათ ლაქიებს, მაგრამ ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს განაჩენს სავსებით იზიარებს გერმანიის მუშათა კლასი.

ფაშიზმთან ბრძოლაში ჩვენ შეუნდობელი ვართ, ისე, როგორც ისინი შეუბრალებელი არიან ჩვენს მიმართ. —ე.

## საბჭოთა პროფკავშირთა დელეგაცია მიდის ჩინეთში.



ამხ. ლეპსე.

ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის მიწვევით—საბჭოთა კავშირების დელეგაცია, პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გააგზავნოს ასეთი დელეგაცია პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრის—ლეპსეს თავმჯდომარეობით

## ბრძოლა ჩინეთის ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის.

### მანჩაში გაფიცულთა რიცხვი 150.000 კაცს უდრის. გაფიცულთა ზოგიერთ ადგილზე რუსი თეთრგვარდიელები მუშაობენ.

### ამერიკა აპირებს ჩინეთით დაინტერესებულ სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევას.

### კანტონში საალყო წესებია.

**სახელმწიფოების კონფერენცია.**

ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიოს ჩინეთში ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოების კონფერენცია, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას საკითხი ექსტერიტორიალობის უფლების გაუქმების შესახებ.

**საალყო წესებია კანტონში.**

კანტონში გაძლიერებულ იქნა საალყო წესები. ხიდეებზე გაკეთებულია მავთულ ხლართები, სანაპიროებზე ამოთხრილია ორმოები და აღმართულია ბარიკადები.

## მოსკოვ-პეკინის საჰაერო ექსპედიცია.

ურგაში მშვიდობიანად მიფრინდა საჰაერო ექსპედიცია, რომელსაც ზეიმით შეეგება მონღოლეთის მთავრობა.

„დობროლიოტის" სამმართველომ გაუგზავნა ექსპედიციის შემადგენლობას ქებითი დეპეშა ფრენის კარგად შესრულებისთვის და თან ატყობინებს, რომ რამოდენიმე მფრინავი გადიყვანილია 1-ლი კატეგორიის კმაყოფაზე მოსკოვიდან გაფრენის დღიდან.

# წიგნი ცოდნის და განათლების წყაროა!

## კონკურსი

### კავკასიის წითელ დროშოვან არმიის საუკეთესო ბიბლიოთეკარსა და საუკეთესო მკითხველზე.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის პოლიტიკური სამმართველოს

## ბრძანება.

ქ. ტფილისი № 72 3 ივლისი 1925 წ.

1. კ. წ. დ. არმიის ნაწილებში დაწყებულ „წიგნის კვირეულთან“ დაკავშირებით, საბიბლიოთეკო აღმშენებლობის წარმატებათა გამოჩენისა და წიგნების მასებთან დაახლოების მიზნით კ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველო მართავს კონკურს ს არმიის საუკეთესო ბიბლიოთეკარზე და მკითხველზე.

კონკურსის ამოცანაა არა მარტო კ. წ. დ. ა. ნაწილების ნაკლისა და საბიბლიოთეკო მუშაობის მიღწევათა გამორკვევა, არამედ მისი მიზანია აგრეთვე მისცეს ახალი ბიძგი წიგნზე მუშაობას მასებზე დაახლოებისაკენ, დააყენოს დღევანდელი დღის წესრიგში წითელ არმიელთა წიგნზე საყოველთაო დაწაფების აუცილებლობა.

კონკურსის წარმატება დამოკიდებული იქნება პირველ რიგში წითელ არმიელთა და უფპოლიტშემადგენლობის ფართე მონაწილეობაზე. კონკურსს საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს, ვინაიდან თანამედროვე პირობებში წიგნი ბრძოლის ერთი და უძლიერესი იარაღთაგანია.

2. კონკურსის ჩასატარებლად შემდგარ იქნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: დრ. აგიტპროპგანყოფილების უფროსი ამხ. ეგიკოვი, სამობილიზაციო განყოფილების უფროსი ამხ. კარაგეზოვი, კ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი ამხ. ზარბოსინსკი, გაზეთ „კრასნი ვოინის“ რედაქტორი ამხ. ანჩარსკი და წითელი არმიისა და ფლოტის სახლის ბიბლიოთეკის გამგე ამხ. ჩეგლაკოვი.

3. კონკურსი ჩატარებულ იქნას გაზეთ „კრასნი ვოინის“ ფურცლებზე და დამთავრებულ იქნას ამა წლის 1|IX რიცხვისთვის.

4. კონკურსის პირობები გამოიმუშაოს კომისიამ.

5. ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ასეულებში, გუნდებში, ესკადრონებში და ბატარეებში.

პოლიტსამმართველოს უფროსი რატნეკი.
აგიტპროპგანყოფილების უფროსი ეგიკოვი.

## „წიგნის კვირეულისთვის“.

„წიგნის კვირეულის“ მთელი მნიშვნელობა, ისე როგორც თვით წიგნის მნიშვნელობა მშრომელთა მასებისთვის, თა- [illegible] ხომ აღმშენებლობის უკანასკნელ წლებში ასე ბევრს ვლაპარაკობთ სწავლების შესახებ. წითელი არმია ამ სწავლების მდუღარე ქვაბია. ეს არის ძლიერი რეზერვუარი, რომლის საშუალებით საბჭოთა ხელისუფლება აძლევს ჩვენს სოფელს შემდეგი აღმშენებლობისათვის აუცილებელ ცოდნას, წიგნს.

ხოლო თუ ახალი საბჭოთა სოფელი უწიგნო და წერა-კითხვის უცოდინარი იქნება, მაშინ ახალი ცხოვრების მშენებლობა შეუძლებელია.

[illegible] ცხოვრების ახალ საფუძვლებზე აშენების საქმეში. ეს ცხადია მისთვის, ვისაც უმსახურია ან მსახურობს წითელი არმიის რიგებში. წითელ არმიელი ხომ ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში ამარცხებდა მტერს არა მარტო თოფით, არამედ ანბანითაც, ფურცლით, წითელ არმიელის გაზეთით.

და მას შემდეგ თანდათან იზრდება წითელ არმიელთა მასაში ზემოდან ქვევით მისწრაფება—დაიმორჩილოს ეს იარაღი, ისწავლოს წერა-კითხვა და დაბრუნდეს სოფლად წერა-კითხვის მცოდნე, მოწინავე წითელ არმიელი.

მაგრამ ის ადგილი, რომელიც უნდა დაიკავოს წიგნმა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში, ჯერ კიდევ არ დაუკავებია მას.

წითელი არმიის რიგებშიაც კი ვერ უკავია მას ასეთი ადგილი. ჩვენ ხომ დემობილიზაციით წასულ წითელ არმიელის საშუალებით გავიკაფავთ გზას ახალი სოფლისაკენ, რომლის არსებობა უგაზეთოდ, უწიგნოდ, უქოხ-სამკითხველოდ და უბიბლიოთეკოდ წარმოუდგენელია.

რომ წიგნი დაუკავშიროთ სოფელს, ამისათვის საჭიროა თვით წითელი არმიელი მტკიცედ დაუკავშირდეს წიგნს. წიგნი უნდა გახდეს ისეთი საარსებო აუცილებლობა ყოველი ჩვენგანისთვის, როგორც საჭმელი და ჰაერი. წინააღმდეგ შემთხვევაში წ. კ. ცოდნა გაფრინდება თავიდან, როგორც ყოველივე ზედმეტი, რომელიც ვერ ჰპოებს ცხოვრებაში თავის ადგილს. დაიჟანგება, როგორც ყოველი იარაღი, თუ არ იხმარე.

ყაზარმაში გაზეთის ყველა მკითხველი იკითხავს თუ არა მას სოფლად? ლეგიონის ბიბლიოთეკის ყველა მკითხველები იქნებიან თუ არა სოფლის ქოხ-სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების მკითხველები? და თუ სოფლად არ იქნება ქოხ-სამკითხველო,—ბევრი შეეცდება თუ არა ასეთის გახსნას?

აქ საქმე არა მარტო ისაა, რომ ასწავლო წერა-კითხვა და დაარწმუნო წითელი არმიელი წიგნის სარგებლობაში. ეს მან იცის,

აქ საქმე ისაა, რომ ასწავლო წითელ არმიელს გაამდიდროს თავისი ცოდნა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მან არამც თუ მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ცხოვრებაშიც გაიგოს წიგნის პრაქტიკული სარგებლიანობა, მიხვდეს, რომ წიგნის საშუალებით შეიძლება თვითგანვითარდეს და გახდეს ნამდვილი აქტიური წევრი ახალი საზოგადოებისა.

აი აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული მასწავლებელთა ღონისძიებანი.

ამაზე კარგად უნდა დავფიქრდეთ „წიგნის კვირეულში“.

„კრ. ვ.“ რ—კი.

## დაიცავი წიგნი ისე, როგორც თოფი.

ჩვენი წითელი არმიის ერთ ერთი ძლიერი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მის რიგებში წითელ არმიელები—სამხედრო საქმის გარდა—სწავლობენ წერა-კითხვას და იღებენ პოლიტიკურ განათლებას.

[illegible] გან, წითელი არმია გამოცდილ მოლაშქრეს და შეგნებულ მოქალაქეს ზრდის.

წითელ არმიელის აღზრდის საქმეში დიდი წვლილი შეაქვს ნაწილების ბიბლიოთეკებს.

წიგნის საშუალებით ვსწავლობთ წერა-კითხვას, ვეცნობით სამხედრო საქმეს, ბუნებას ჩვენს გარშემო, საზოგადოებას და კაცობრიობას. წიგნი ჩვენთვის ყველა შემთხვევაში არის საჭირო: იგი გვასწავლის—როგორ დავიცვათ მუშურ-გლეხური საქმე მტრებთან ბრძოლის დროს,

[illegible] ნთვის მავნე ბუნების მოვლენებს და როგორ ავაშენოთ ჩვენი მეურნეობა.

ამიტომ თვითეულ შეგნებულ წითელ არმიელს ბიბლიოთეკა უნდა მიაჩნდეს გონებრივ იარაღის საწყობათ.

ზოგიერთ საწყობებში დოგროვილია თოფი, ტყვიისმფრქვეველი და სხვა საომარი იარაღი, ბიბლიოთეკებში კი—ჩვენი მტრებისთვის არა ნაკლებ საშიშარი იარაღი—წიგნები, ჟურნალები და გაზეთები.

მაგრამ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ წიგნს, ჟურნალს და გაზეთს ჩვენ შესაფერი პატივისცემით და სიფრთხილით ვერ ვეპყრობით.

მაგალითად, არც ერთი წითელი არმიელი არ მოექცევა თოფს ისე უდიერათ, როგორც ზოგი მათგანი წიგნს.

ხშირია შემთხვევა, რომ წიგნიდან ჰხევენ ფურცლებს თამბაქოს გასახვევად, ან კიდევ ხატავენ მასზე რამეს, სვრიან და აფუჭებენ.

გვახსოვდეს, რომ ასეთი მოპყრობა წიგნისადმი დაუშვებელია, თითეულ წითელ მოლაშქრეს უნდა უყვარდეს წესიერება და მისი დამცველი უნდა იყოს.

ბიბლიოთეკიდან საკითხავად წაღებული წიგნი მისთვის თოფზე არა ნაკლებ ძვირფასი უნდა იყოს.

წითელ-არმიელო! გაუფრთხილდი წიგნს, ისე როგორც თოფს.

ე. მ.

## ჩვენი ბიბლიოთეკა.

(1-ლი ლეგიონი.)

ლეგიონის ბიბლიოთეკა დაარსდა 1922 წლის დასაწყისში. ის თავიდან ყურადღების ცენტრად გადაიქცა, როგორც ადგილობრივ მუშაკებისათვის, ისე წითელ არმიელებისათვის. ბიბლიოთეკის მოწყობას და გაუმჯობესებას მუდამ ჯეროვან ყურადღებას აქცევდენ ლეგიონის პოლიტ-მომუშავეები, რამაც ის აამაღლა და დააყენა თავის სიმაღლეზე.

ბიბლიოთეკა და წიგნი სხვა და სხვა საშუალებებით ფართოდ იჭრებოდენ წითელ-არმიელთა მასაში. 1922 წლის ბოლოს 80—100 მკითხველი ყავდა ბიბლიოთეკას და დღეში საშუალოდ 15—20 წიგნს სცემდა, აქედან 70—80 პროც. ბელეტრისტიკას ეკუთვნოდა.

1923-ში მკითხველთა რაოდენობა 150—200-მდე გაიზარდა, გაცემულ წიგნთა რაოდენობა ყოველდღიურად 20—25—დის აღიოდა, საიდანაც 60—65 პროც. ბელეტრისტიკიდან იყო და დანარჩენი სხვა განყოფილებებიდან.

1924 წელში მკითხველთა რიცხვი 300-მდე გაიზარდა, გაცემულ წიგნთა რაოდენობა კი დღეში 40—50, აქედან 40—45 პროც. ბელეტრისტიკა, 30—40 კი პოლიტიკურ შინაარსის წიგნები იყო.

1925 წლიდან ბიბლიოთეკის მუშაობა შესამჩნევად ნაყოფიერდება. დღეს მას უკვე 800-დე მკითხველი ყავს. აქედან 72 უფ-პოლიტშემადგენლობაა და დანარჩენი კი წითელ-არმიელები. დღეში ბიბლიოთეკა საშუალოდ 100—150 წიგნს სცემს. გაცემულ წიგნების რაოდენობის თითქმის 60—70 პროც. პოლიტიკური ხასიათის წიგნებს შეადგენს, შემდეგ სხვა ლიტერატურა, სამხედრო და სასოფლო მეურნეობის წიგნები. ამას გარდა ბიბლიოთეკას ასეულებზე გაცემული აქვს 11 კოლექტიური აბონემენტი, რომელთა შორის უკანასკნელად გაცემულია გლეხის ბიბლიოთეკები; ამ უკანასკნელთ დიდი ყურადღებით კითხულობენ წითელ არმიელები. ბიბლიოთეკას აქვს მკითხველთა საბიბლიოთეკო წრე, რომლის წევრებიც სისტემატიურად ატარებენ კითხვა საუბარს ასეულებში.

ქ. ქ.

## წიგნი ცოდნის იარაღია.

ჩვენს ნაწილებში ტარდება წიგნის კვირეული, რომელიც მიზნად ისახავს წიგნის პოპულიარიზაციას, მის გავრცელებას როგორც წითელ-არმიელთა მასებში, ისე ფართო მშრომელ მოსახლეობაში.

ნაწილებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ რათა დასახული ამოცანის შესრულება არ დარჩეს მარტო წითელ ყაზარმის კედლებს შუა, არამედ ის გადატანილ იქნეს ფართო მასაში.

თითქოს უაზრობაა ასეთი კვირეულის ჩატარება, რა საჭიროა ასეთი კამპანიები, რომლებიც მიზნათ ისახავენ ანბანურ ჭეშმარიტების გავრცელებას.

დიახ, წიგნის აუცილებელი საჭიროება, მასისარგებლიანობა და სხვა თითქოს ყველასთვის ნათელია, ან ყველასათვის ნათელი უნდა იყოს.

მიუხედავად ამ დებულების სიმართლისა ჩვენ მაინც გვიხდება კამპანიის ჩატარება.

თუ დღემდე ვერ შევსძელით მოსახლეობაში ღრმათ ჩაგვენერგა შეგნება წიგნის მნიშვნელობაზე მომავალში ეს უნდა შევსძლოთ.

მომავალში ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყოველი მშრომელისათვის წიგნი გახდეს ისეთ იარაღად, როგორიც არის მუშისათვის გრდემლი და ჩაქუჩი, გლეხისათვის სახნისი და სხვა.

ადამიანი თავის საარსებო საშუალებას ბუნებიდან პოულობს. ბუნების ნაყოფის გამოყენება არსებობისთვის შესაძლებელია მხოლოთ მასთან ბრძოლით.

ბრძოლისათვის კი საჭიროა საბრძოლო იარაღი, ურომლისოდაც ადამიანი უძლური იქნებოდა საარსებო წყარო მოენახა და ამით ცხოვრებაც შეუძლებელი გახდებოდა. მთავარ იარაღს დღეს წარმოადგენს ცოდნა. ცოდნა აუცილებელია არა მარტო ბუნებასთან ბრძოლაში, რომ მისგან მეტი ნაყოფის შეძენა შევძლოთ არამედ ცოდნა საჭიროა აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობისათვისაც.

დღევანდელ ხანაში საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობაზეა დამოკიდებული ბუნების სიმდიდრის გამოყენება. თუ საზოგადოებაში გაბატონებულია ბურჟუაზიული კლასი, როგორც ეს არის ყველა ჩვენს ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებში, მაშინ შეგნების სიმდიდრე ხმარდება უმთავრესად საზოგადოების მხოლოდ ერთ უმნიშვნელო ნაწილს, ბურჟუაზიას.

პირველი სახელმწიფო, სადაც ბატონობს მუშა და გლეხი და სადაც მოსპობილია კაპიტალისტების ბატონობა არის ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

რომ მშრომელმა ხალხმა სრულებით დაეპატრონოს ბუნებას და მისი სიმდიდრე თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოიხმაროს, საჭიროა უპირველეს ყოვლისა მოსპოს მან ბურჟუაზიის ბატონობა სამუდამოდ და შემდეგ შეუდგეს მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობას.

მაშასადამე ცოდნა საჭიროა როგორც ბუნებასთან ბრძოლაში აგრეთვე საზოგადოების ახალ საფუძვლებზე ასაშენებლად.

ცოდნა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისათვის თავდებია ძველი წყობილების სამუდამოდ მთელ მსოფლიოში მოსპობის და ახალი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნის.

ცოდნის ერთ ერთი მძლავრი იარაღია წიგნი.

თუ მუშათა კლასი და გლეხობა მიზნათ ისახავს სოციალიზმის დამკვიდრებას, ამისთვის მათ უპირველეს ყოვლისა მიზნად უნდა დაისახონ კულტურული განვითარება. ახალი საზოგადოებისთვის მებრძოლი მასები უნდა გაცილდენ განვითარების იმ წერტილს, რომელზედაც აჩერებდა მათ ბურჟუაზიული წყობილება.

გაბატონებული კლასები თავის არსებობის მთელ ხანაში ცდილობდენ დამონავებულ მუშებში და გლეხებში რაც შეიძლება ნაკლები სწავლა-განათლება შეეტანათ, მშრომელი ხალხი უვიცი ყოლოდათ, რომ უფრო გაადვილებულიყო დამონავება, რომელიც საფუძველს წარმოადგენს ბურჟუაზიულ წყობილებისას.

ბურჟუაზია დაეპატრონა არა მარტო ეკონომიურ სიმდიდრეს საზოგადოებისას, არამედ სწავლა განათლებასაც.

მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა გახდა მის კერძო საკუთრებათ და ემსახურებოდა მშრომელი ხალხის მტრების მიზანს. ერთი სიტყვით ბურჟუაზიული კლასი დაეპატრონა საზოგადოების კულტურულ სიმდიდრეს და გამოიყენა ის თავის ბატონობის განმტკიცებისაკენ იმდროს, როდესაც ის გამალებით ანვითარებდა მეცნიერებას, ტეხნიკას და სხვას თავის უსაზღვრო დაპყრობითი მიზნების განსახორციელებლად, მშრომელ ხალხს აწვდიდა კულტურის მაგიერ სარწმუნოებრივ საწამლავს. ეკლესიების, მონასტრების, სარწმუნოებრივ ლიტერატურის გავრცელება და სასულიერო წოდებისათვის სათანადო პრივილეგიების—უპირატესობის მიცემა ემსახურებოდა იმ მიზანს. რომ მშრომელი ხალხისათვის სწავლა განათლების მაგიერ ცრუმორწმუნეობა მიეწოდებია და ამით ის რაც შეიძლება მეტ სიბნელეში ყოლოდა.

დღეს ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში გვიხდება ახალი საზოგადოების აგება.

რომ თავის მისია მშრომელმა ხალხმა, რაც შეიძლება დაჩქარებით და ადვილად შეასრულოს ამისათვის საჭიროა ის დაეპატრონოს იმ კულტურულ სიმდიდრეს, რომელიც შექმნა მოწინააღმდეგე კლასებმა თავის ბატონობის გასაძლიერებლად.

მეცნიერება და ტეხნიკა მშრომელ ხალხში უნდა გავრცელდეს და ეს განძი გამოყენებულ იქნას ახალი საზოგადოების ასაშენებლად. მაშასადამე ჩვენ უნდა დავეპატრონოთ სწავლა განათლების ყოველ დარგს გავავრცელოთ ის ფართო მასაში, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი ამოცანის განხორციელება. რაც მეტი ენერგიით მოვკიდებთ ხელს ცოდნის გავრცელებას მით მეტი სიჩქარით წავალთ წინ დასახულ მიზნისაკენ. წიგნი კი აუცილებელი იარაღია, ცოდნის შეძენისათვის.

ბ—ა.

# მუშაობა ცვალებადელთა შორის.

## კავშირი რკინის გზის მუშებთან.

მე-4-ხე ლეგ. 2-რე ათასეულის კომუჯრედი.

ჩვენი ათასეულის კომუჯრედს კარგა ხანია განზრახული ჰქონდა დაკავშირებოდა მუშების რომელიმე კომუჯრედს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა დღემდე.

2 ივლისს ათასეულის კომუჯრედის მთელი შემადგენლობა გაემგზავრა ზესტაფონის რკინის გზის მუშების კომუჯრედში, რომლებმაც დიდი სიხარულით მიგვიღეს. უკვე დაწყებული კრება დროებით შეაჩერეს და მხურვალედ მოგვესალმენ. ამხ. კ. შირაქაძემ, რომელიც უკეთდება მუშებს მოხელეებას, გააცნო ამხანაგებს ჩვენი თავი და გვისურვა ერთმანეთთან მჭიდრო დაახლოებით გამოცოცხლებულიყო საერთო მუშაობა.

თავის მხრივ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ათასეულის პოლიტხელი ამხ. კაკაბაძე და გააცნო მუშებს თუ რა მიზნებს ვისახავთ წითელი ჯარის ორგანიზაციები და როგორ ვაფასებთ მუშებთან კავშირს.

ამხ. სიტყვები დაიფარა საერთო ტაშით და ინტერნაციონალის ჰიმნით.

ამხ. მუშებისაგან ჩვენი ასეთი მიღება იმის თავდებია, რომ ჩვენს შორის სულ ჩქარა გაჩაღდება სისტემატიური და ნაყოფიერი მუშაობა. კერძოთ ჩვენ ბევრს შევიძენთ მათი გამოცდილებებით.

სამხკორი ი. გურგენაძე.

## სამხკორთა მუშაობა.

მე 4-ე ლეგიონი.

სამხკორთა მუშაობა ჩვენს ლეგიონში ა. წ. გაზაფხულამდე ძლიერ მოისუსტებდა: არ იყო ჩამოყალიბებული წრე და არც წერილები იწერებოდა ნაწილის ცხოვრებიდან სისტემატიურად. მაგრამ როგორც კი შეივსო ლეგიონი ახალწვეულებით, საქმე გამოკეთდა.

ახალმა ძალამ ახალი სიხალისე და ინტერესი მოიტანა და თითქმის მიძინებული ძირედ შემადგენლობა გამოაფხიზლა.

29 ივნისს შესდგა ლეგიონის სამხკორთა თათბირი, რომელზედაც არჩეული იქნა სამხკორთა ბიურო სამი კაცისაგან. ბიუროს დაევალა: ჩამოაყალიბოს სამხკორთა წრე და გაანაწილოს ფუნქციები, მიიზიდოს ამ წრეში ახალწვეულები, გააცხოველოს მუშაობა და დააინტერესოს წით. არმიელთა ფართო მასა, რომ ყველამ მიიღონ მონაწილეობა, როგორც კედლის ისე ცენტრალურ გაზეთებში.

წრის ხელმძღვანელად არჩეული იქნა ამხ. მელიქია; მანვე გააკეთა მოხსენება, კორესპონდენტის მოვალეობასა და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ნაწილისათვის. ამის შემდეგ გაიმართა კამათი და უმთავრესად შემოჰქონდათ შეკითხვები ახალწვეულებს.

ამ ამხანაგებს წინასწარ ეტყობოდათ ამ საქმით დაინტერესება და უნდა ვიფიქროთ, რომ თუ სათანადო ხელმძღვანელობა გაეწიათ კარგი მუშაკები გამოვლენ.

სამხკორი დ. გაბუნია.

## ჩვენთანაც დაარსდა უნცროს მეთაურთა სკოლა.

მეხუთე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში ამ უკანასკნელ ხანებამდე არ ყოფილა დაარსებული უნცროს მეთაურთა სკოლა. 15 ივნისს ახალწვეულების მოსვლის შემდეგ როგორც იქნა ჩვენთანაც ჩაეყარა საფუძველი მას. სკოლის კურსანტები თითქმის ყველა ახალწვეულებიდან იქნენ ჩარიცხული. მეცადინეობა უკვე დაიწყო. ყველა დიდი ინტერესით და გულმოდგინეთ ეკიდებიან სწავლის საქმეს.

აღსანიშნავია აგრეთვე სკოლის მეთაურთა შემადგენლობის ენერგიულობაც.

საზოგადოთ ახლად დაარსებულ სკოლას ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს და უნდა ვიფიქროთ, რომ ის თუ ასე მონდომებით განაგრძობს თავისი მოვალეობის ასრულებას ჩქარა მიაღწევს მიზანს.

გ. კუპრაშვილი.

## ტერარმიელის ცხოვრებიდან.

საღამოს მზის სხივებმა უკანასკნელი ამბორი სტყორცნა № ათასეულის წითელ ყაზარმას, რომელიც ამაყად გადაჰყურებს მოლით ამწვანებულ და ცაცხვის ხეებით შემკულ მინდორს. მასვე ამშვენებს რამოდენიმე ადგილას გაყვანილი ცივი მთის ანკარა წყალი, რომლის განუწყვეტელი დენა არღვევს იქაურ მყუდროებას.

ამ ყაზარმაში დღეს შეკრებილია მე-2-რე ქართულ მსრ. დივიზიის ერთი ათასეულის ტერარმიელები.

კვირა დღე არის. ტერარმიელები შეკრებილან რამოდენიმე ჯგუფად და საუბრობენ.

—სალდათად რომ არ წამოსულიყავი, ეგრე შენს სიცოცხლეში ჩაიცვამდი? აი, სწორედ ბიძეს გავხარ, რაღა, შენ ვერანა!

—არა შვილოსან! შენ გეგონა რომ ჩვენი მთავრობა ფეხშიშველას გვატარებდა!

მიუგო ვანომ, რომელიც ტოლებს ისწორებდა.

—ეს მიკვირს ამხანაგებო, ამ ჩვენმა პოლიტხელმა სა იცოდა; დღეს დილაზედ აგვიხსნა; სულ მალე რაც გაკლიად ყველაფერს მიიღებთო, და მართლაც 8 საათის მატარებლით ტანისამოსიც მოვიდა.

მეორე ჯგუფი კი დამსხდარა ფანდურაზედ.

—ბიჭებო! დღეს ათასეულის თავმა და პოლიტხელმა გადმოგვცა, სუფთად იყავითო! მოემზადევითო.—მაყრებს ხომ არ მოელიან; დაარღვია მყუდროება ერთმა ცვალებადელმა, რომელიც მუდამ ოხუნჯობდა.

—ამხანაგებო! დღეს 28 ივნისს არის გახსნა ქალაქის სახალხო სახლის, რის გამოც მოელიან თბილისიდან მთავრობის წარმომადგენლებს.

მე-6-ე ლეგიონის სასულე მუსიკა უკვე მოვიდა.

—აბა ტერარმიელებო! ჩვენი უფროსი ამხანაგები, მთავრობის წარმომადგენლები მოდიან და არც ადგეთ და არც დაიშალოთ, განაგრძეთ ჩვეულებრივად,—გადასცა მათ წითელმა მეთაურმა, რომელმაც ყაზარმიდან მოირბინა.

არ გაუვლია ხუთ წუთს, რომ მთავრობის წარმომადგენლები ისხდენ არმიელებში და ერთობოდნენ ფანდურაზედ სხვა და სხვა სახუმარო ლექსების მოსმენით.

—ამხანაგო! მოდი და დაჯექი.

მიმართა ერთმა ტერარმიელს, რომელიც ზეზედ იყო და რომელსაც დახეული ტანისამოსი ეცვა.

—თქვენ რატომ არ მიიღეთ ტანისამოსი?

—მე გვიან მოვედი და აწი მივიღებ.

იყო პასუხი.

—რა სოფლიდანა ხარ?

—მაჩხანიდან

—რას აკეთებდი ოჯახში?

—ღორში ვიყავი.

—წერა კითხვა იცი?

—აბა ვინ მასწავლიდა წერა კითხვას! შენი ჭირიმე, მე მხოლოთ მეღორეობას ვსწავლობდი.

—არ გინდა რომ ისწავლო?

—რავა არ მინდა შენი ჭირიმე... კიდევაც დამაწყებიეს, მაგრამ... ძალიან მიჭირს სწავლა... ძნელი ყოფილა..

—მეც არ ვიცოდი ამხანაგო, მაგრამ ეხლა გაზეთსაც ვკითხულობ, კიდევაც ვწერ და ოთხი მოქმედებაც ვიცი.

გამოეხმაურა ძველი წითელ არმიელი.

—თქვენ ამხანაგო, რამდენი ხანია მსახურობთ? შეეკითხა სტუმარი.

—წლიწად ნახევარი, იყო პასუხი.

—პოლიტ მეცადინეობა გაქვთ?

—გახლავთ ამხანაგო.

—რას გადიხართ და ან რა მეთოდით?

—ძირითად შემადგენლობა, კომპლექსიური მეთოდით, დანარჩენები კი გავდივართ პოლიტ საათს.

დიდხანს გასტანდა მათი საუბარი და ფანდურაზედ გართობა, რომ დაღამებას არ მოესწრო და განკარგულება არ გაცემულიყო მორიგე მეთაურის მიერ: ამხანაგებო! ვახშამზედ, მოეწყვეთ—და ელვის სისწრაფით ყველა დაიშალა.

დ. ჰანკვეტაძე.

# ჩვენი ნაწილების მუშაობა ბანაკში.

## როგორ ვავრცელებთ სოფლად გაზეთებს.

მესამე ლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებში მესამე ლეგიონის მთელი შემადგენლობა მასიურათ ჩაება გაზეთების გამოწერაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელ არმიელების ხალისი ამ საქმეში. როგორც კი განაცხადეს, პოლიტხელებმა, რომ „ახალი სოფელი“ ძლიერ ცოტა ღირს და მას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლებში, წითელ არმიელებმა ის ასეულებით მასიურათ გამოუწერეს თავიანთ სოფლებს—საიდანაც მოდის ცნობები, რომ ძლიერ გახარებული არიან—მათი მშობლები და ნათესავები. მაგრამ ეს მარტო არ კმარა: ჩვენი დივიზიები დიდი ხანია უშვებენ წითელ არმიის სარკეს, გაზ. „წითელ არმიელს“. ეს სამხედრო გაზეთია და ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. რაც შეიძლება უნდა შევაგნებინოთ ეს ჩვენს წითელ არმიელებს და უნცროსთა შემადგენლობას, რომ გაზ. „წითელი არმიელი“ გაავრცელონ სოფლებში, რომ იქაც გაიგონ წითელი არმიის ყოფა-ცხოვრება.

ამასთანავე ეხლა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქცია უშვებს ჟურნალ „სოფლის კომუნისტს“, რომელიც აშუქებს სოფლისათვის ყველა საჭირბოროტო კითხვებს და ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი სოფლის მუშებისათვის.

საჭიროა ყველა ნაწილებმა დააინტერესონ წითელ არმიელებიც ამ საქმეში და თავიანთი ნებაყოფლობით გამოუწერონ თავიანთ ოჯახებს და სოფლებს, როგორც გაზ. „წითელი არმიელი“ ისე, „ახალი სოფელი“ და „სოფლის კომუნისტი“. არა ყველა ერთად, არამედ ზოგმა ერთი—და ზოგმაც მეორე.

ამით დიდი საქმე გაკეთდება ჩვენი სოფლებისათვის.

სამხკორი ს. გეგია.

## ჩვენი საქმიანობა.

პირველი ლეგიონის მეორე ასეულის ახალწვეულები ორი თვეა, რაც წითელ ყაზარმაში ვიმყოფებით. ახალწვეულები კარგათ ითვისებენ უფროსების ყოველივე გადმოცემას და ყოველგვარ ბრძანებას უყოყმანოთ ასრულებენ.

29 ივნისს, კიდევ მოგვემატა რამოდენიმე ახალწვეული, რომლებიც ნაწილში მოსვლისთანავე ჩაებენ საერთო საქმიანობაში. ისინი გაკვირვებული დარჩენ წითელი ყაზარმის სანახაობით.

ამ დღესვე ჩვენი ასეულის უფროსმა გაგვიცხადა, რომ ყველა მიიღებთ ახალ ტანსაცმელებსო.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

ხელად გაიმართა სიმღერა. ჩვენთან ერთად მღეროდა ასეულის უფროსიც, რითაც ჩვენ კიდევ უფრო მეტ აღტაცებაში მოვდიოდით,

ვუსურვებთ ჩვენი ასეულის უფროსს არ მოეკლოს ზრუნვა ახალწვეულებისათვის.

ჩვენც ახალწვეულები გავამართლებთ ჩვენზე დამყარებულ იმედებს.

ახალწვეული დ. ქავთარაძე.

## ჩვენც კარგათ შევისწავლით.

(ქართულ მეთაურთა სკოლა).

სამწყობრო გუნდის წითელარმიელები 3 ივნისს წაგვიყვანეს სასროლად სკოლასთან ახლო მდებარე მინდორზე. ყველა ჩვენთაგანი გახარებული იყო და დიდის აღტაცებით მივდიოდით დანიშნულ ადგილისაკენ. მისვლისთანავე მოვაწყვეთ დასამიზნებლები და გადავთვალეთ ორასი ფეხის ნაბიჯი ცეცხლის ხაზამდე.

გუნდის უფროსმა წინდაწინვე აგვიხსნა, თუ როგორ უნდა გვეწარმოებია სროლა. ამ ახსნამ მართლაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

ნიშანს ვესროდით, როგორც ახალწვეული, ისე ძველი წითელი არმიელები. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ახალწვეულები ბევრით არ ჩამოვრჩებოდით ძველ წითელ-არმიელებს ნიშანზე სროლაში. მუდამ ვეცდებით კიდევ უფრო კარგათ შევისწავლოთ სამხედრო საქმე.

სამხკორი ს. გოგოლაშვილი.

## სკოლის გარეშე მუშაობა.

მესამე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში დღითი დღე ნაყოფიერდება ყოველგვარი საქმიანობა. განსაკუთრებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს სკოლის გარეშე საგანმანათლებლო მუშაობა. აქ ყველაფერი თავის რიგზეა დაყენებული.

გვაქვს მშვენიერი ლენინის კუთხე. გარდა იმისა, რომ ის მიმზიდველად არის მოწყობილი გარეგნულად, ყურადღებას იქცევს მასში წარმოებული მუშაობაც.

ჩვენმა პოლიტხელებმა ყოველგვარი ზომები მიიღეს, რომ ლენინის კუთხეებში წარმოებულ საქმიანობაში ჩაებათ წითელ არმიელთა ფართო მასა. საჭიროა ასეთ საქმეში მეთაურთა შემადგენლობამაც გამოიჩინოს თაოსნობა და ხელი შეუწყონ პოლიტხელთა განზრახვების სისრულეში მოყვანას.

ლენინის კუთხეებთან დაარსებულია აგრეთვე რემედასის კუთხეები. არსებობს საკავშირო კომისია, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ აფართოებს თავისი მოღვაწეობის არეს.

გვაქვს კავშირი სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებთან და სოფლებთან. ერთი სოფელი შეფობის ქვეშ ავიყვანეთ (ბანაკში), რომელსაც სისტემატიურად ვუგზავნით ჟურნალ-გაზეთებს, მოხსენებლებს და სხვა. განზრახულია ამ სოფელში მომავლისათვის უფრო გავაფართოვოთ ჩვენი კულტურული მოღვაწეობა.

სამხკორი გიგანტი.

## მზადება წიგნის კვირეულისათვის

(პირველი ლეგიონი.)

თანახმად პოლიტ-განყოფილების დირექტივებისა ჩვენს ნაწილში 2 ივლისს არჩეულ იქნა წიგნის კვირეულის ჩამტარებელი კომისია. კომისიაში არჩეულ იქნენ ნაწილის ხელმძღვანელი და მოწინავე ამხ-ები, რომლებმაც პირველ სხდომაზედვე გამოიმუშავეს კამპანიის ჩატარების შემდეგი გეგმა:

წიგნის კვირეულის დაწყების დღიდანვე ტყავ-ტრესტის (სამოქალაქო ორგანიზაციის) უჯრედთან მოეწყოს სამხედრო კუთხე, რისთვისაც ლეგიონიდან მიეცეს საჭირო ლიტერატურა.

ლენინის კუთხეებში და სამკითხველოებში გამოკრულ იქნას სარეკომენდაციო სიები.

მთელი კვირეულის განმავლობაში პოლიტხელებმა და ჯგუფის ხელმძღვანელებმა თავიანთი მეცადინეობა დაუკავშირონ წიგნის პროპაგანდას და მის კვირეულის მნიშვნელობას.

დაევალოს ბიბ-გამგეს შეადგინოს სკოლის გამგესა და მასწავლებლებთან ერთად 12 საუკეთესო მკითხველის სია. ამათ შესახებ ცნობები მოთავსდეს კედლის გაზეთში და შეიძინოს მათი დასასაჩუქრებელი წიგნები.

ნაწილში მოეწყოს წიგნის ნიშნების მაგიდა.

წიგნის საღამო მოეწყოს 11 ივლისს, რომელზედაც მოწვეულ იქნას ტყავ-ტრესტისა და მესამე რაიკომის წარმომადგენლები. საღამოზე მოხსენების გაკეთება დაევალოს ამხ. შავდიას. ამ საღამოზევე მოეწყოს საუკეთესო მკითხველების საზეიმო დასაჩუქრება.

წიგნის კამპანიის უკანასკნელ დღეს გამოშვებულ იქნას სათანადო შინაარსიანი კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, კამპანიასთან დაკავშირებით.

დაევალოს ყველა სამხკორებს და სამხკორთა წრეს მიიღონ აქტიური მონაწილეობა კამპანიის ჩატარებაში და შედეგები გააშუქონ გაზ. „წითელ არმიელში“, „კრასნი ვოინში“ და სხვა გაზეთებში.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

## ნაკლი გამოსწორდა.

პირველი ლეგიონის მეორე ასეული შევსებულია ახალწვეულებით, რომლებიც ნაწილში მოვიდნენ ამ ორი თვის წინად.

ლეგიონის ბანაკათ გასვლის შემდეგ ხსენებული ასეული დარჩა საზამთრო ყაზარმებში. ჩვენი ასეულის სასადილო პირველ ხანებში არ იყო სათანადოთ მოწყობილი. აქ არ იყო სკამები, მაგიდები. არ გვქონდა ახალწვეულებს არც თეფშები, არც კოვზები, კრუშკები და სხვა.

მაგრამ დღეს ეს ნაკლი უკვე გამოსწორებულია. ჩვენ უკვე გვაქვს ის, რაც აუცილებელია ყოველი წითელი არმიელისთვის.

ეხლა სასადილოში უკვე მოწყობილია მაგიდები. თითო წითელ-არმიელი სადილობს თითო თეფშით, საკუთარი კოვზებით და სხ.

ძველ უკმაყოფილებას ჩვენს ნაწილში ადგილი აღარ აქვს.

ახალწვეული **ლ. თაბუკაშვილი.**

## სისუფთავეა საჭირო.

პირველ ლეგიონში ყოველდღიურად დუღდება ჩაი დილით და საღამოობით. ადუღებული ჩაი სამზარეულოდან ჩამოაქვთ იქვე ახლოს, სასადილოში. წითელ-არმიელები უზრუნველყოფილი არიან სასმისებით, კოვზებით, შაქრით და სხვა. სამზარეულოდან ჩაის ჩამოსატანი ჭურჭლებიც საკმაოთ არის.

მხოლოთ ერთ რამეს არ ექცევა ყურადღება ჩაის ადუღებისა და მისი დარიგების დროს. სასადილოში ჩაის ჩამოსატანი ჭურჭლები არის ძლიერ დაჟანგული. ამასთანავე ერთად ხშირად არც ჩაის ასადუღებელ ქვაბს რეცხავენ.

არის შემთხვევა, რომ ძველ ადუღებულ ჩაის აღარ აქცევენ და ამას მეორე დღისთვის ხმარობენ. ამის გამო ხშირად ჩაის ცუდი სუნი და გემო აქვს.

საჭიროა ამ მოვლენას მიაქციონ ყურადღება ლეგიონის უფროსებმა და გამოასწორონ ეს ნაკლი.

სამხკორი **ლიდაშვილი.**

## ამბები სოფლებიდან.

**საავათმყოფო ცხინვალში.**

ცხინვალში, ადგილობრივ ხელისუფლებას განზრახული აქვს ააშენოს საჩვენებელი სანიმუშო საავადმყოფო.

**სატელეფონო ქსელი.**

სამხ. ოსეთის ცაკმა დაადგინა მიიღოს ზომები ოლქში ტელეფონის ქსელის გასაფართოებლად, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ოლქში უგზოობით გამოწვეულ მიმოსვლის დაბრკოლების დასაძლევათ.

**ახალგაზრდა გლეხთა სკოლები.**

სამხ. ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკმა გადასწყვიტა შემოდგომიდან გააფართოოს ოლქში ახალგაზრდა და გლეხთა სკოლების ქსელი.

**ბავშვები სააგარაკოდ.**

ბორჩალოს აღმასკომმა გადასწყვიტა ლიუქსემბურგის საბავშო სახლი ზაფხულის განმავლობაში გაგზავნოს სააგარაკოდ თეთრ წყაროზე (ალბულახში).

**გზის შეკეთება.**

ბორჩალოს აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს დუმანის გზის შეკეთებას.

**ხიდი მდ. ყვირილაზე.**

ბაღდადის თემში (ქუთაისის მაზრა) დაარსდა მდ. ყვირილაზე ხიდის სააღმშენებლო ბიურო.

**მეფუტკრეობა.**

საქართ. მეფუტკრეობის ბიურო ამ დღეებში ცაგერში გახსნის მეფუტკრეობის მოკლევადიან კურსებს.

**საელექტროფიკაციო საზოგადოება.**

თელავის სამაზრო აღმასკომის ინიციატივით განზრახულია მოეწყოს მაზრაში ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის ცალკე საზოგადოება.

**საექიმო პუნქტის გახსნა.**

ქუთაისში სამაზრო გლეხკომმა შუამდგომლობა აღძრა ჯანსახკომის წინაშე დვალიშვილების თემში (ქუთ. მაზრა) საექიმო პუნქტისა და აფთიაქის გახსნის შესახებ.

## ახალი ამბები.

— **კამოს ძეგლი.** კამოს ძეგლის საზეიმო გახსნა მოხდება 15 ივლისს.

— **საკავშირო შრომის სახ. კომისარიატმა** დაადგინა ყველა შრომის ბირჟებთან უნდა მოეწყოს უმუშევარ მოზარდთა სექციები.

— ამ კვირეულის განმავლობაში დაიბეჭდება პროფესორთა საბჭოს მიერ გადასინჯული და შემოწმებული საერთო და სამხედრო-ტეხნიკური ლექსიკონი ლ. **ცაგარელისა.** აღნიშნულ საბჭოს მიერ ლექსიკონი სავალდებულო სახმარად არის ცნობილი საქართველოს ყველა დაწესებულებისათვის. ვინაიდან ლექსიკონი გამოვა განსაზღვრული რაოდენობით, ლექსიკონის მსურველი დაწესებულება მოვალეა საჩქაროთ მიჰმართოს და შეუკვეთოს საჭირო რიცხვი ლექსიკონებისა ქართულ სამხედრო საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიას კეცხოველის ქ. (ყოფილი ლორის მელიქოვისა) № 3, სამხედრო სტამბა.

— **სახლის გადაცემა წითელ ჯვარზე.** ტფ. აღმასკომმა გადასცა წითელ ჯვარს კრილოვის ქუჩაზე მდებარე სახლი № 5.

— **მოზარდი ასოთ-ამწყობები.** შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოზარდ-ასოთ-ამწყობებს მუშაობის დღეებში წარმოებები დაავალდებულონ, რომ მისცენ თითო ბოთლი რძე.

— **სამგორის არხის გაყვანა საქართ.** წყალთა მეურნეობის ანგარიშით დაჯდება 5.795.000 მანეთი. არხი მორწყავს 40.200 დესეტ. მიწას.

— **ამხ. ლადო სუხიშვილის** შვებულებაში წასვლის გამო მისი მოვალეობის ასრულება დაეკისრა ამხ. ივანოვ-კავკასიელს.

— **კოოპერაცია ძლიერდება.** 1923 წლის 1-ლი იანვრიდან წარმოკავშირის ბალანსი (საერთო შემოსავალ-გასავალი) გაიზარდა 4 ათასი მანეთიდან ამა წლის 1-ლი ივნისისათვის 4 მილიონ მანეთამდე.

— **დაბადების შემთხვევები.** 1921 წელთან შედარებით ბავშვთა დაბადების რიცხვმა იმატა ოთხჯერ.

— **შრომის ბიულეტენი.** შრომის სახ. კომისარიატმა გამოსცა ბიულეტენი № 9.

— **თეთრეულის დაგზავნა.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა დაუგზავნოს რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებს 3 ათასი მანეთის თეთრეული.

## ხელოვნება.

— **არტლეგიონის კლუბის გახსნა.** გუშინ საღამოს დიდი ზეიმით მოხდა არტლეგიონის კლუბის გახსნა.

— **წიგნის კვირეული.** დღეიდან მეორე დივიზიის მაშტაბით დაიწყება წიგნის კვირეულის ჩატარება.

— **„ცვალებადელის საღამო“.** ხვალ წითელ არმიისა და ფლოტის ბაღში გაიმართება „ცვალებადელის საღამო“, რომელსაც აწყობს მე-6 ტერ. ლეგიონი. დივსამხ. კომისარი ამხ. მარქაროვი გააკეთებს მოხსენებას ტერიტორიალური სისტემის შესახებ.

— **კედლის გაზეთების გამოფენა.** ხვალ, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში იხსნება კედლის გაზეთების გამოფენა ქართულ, რუსულ, თათრულ და სომხურ ენებზე.

— **წითელ არმ. და ფლ. ბაღში.** დღეს გაიმართება დიდი და მრავალფეროვანი საღამო კოოპერაციის დღესთან დაკავშირებით.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**როგორ გაზომეს მანძილი მზემდე.**

როდესაც გვეუბნებიან, რომ დედამიწიდან მზემდე მანძილი ამდენსა და ამდენს უდრისო, ჩვენ ვიჯერებთ, მაგრამ ამავე დროს ეჭვი გვეპარება, როგორ შეიძლება ადამიანმა გაზომოს ეს მანძილი. მეცნიერები ამბობენ, რომ ეს მანძილი მაშინ იქნა გაზომილი, როდესაც ცდომილი (პლანეტა) ვენერა გადიოდა დედამიწისაკენ მომავალ მზის სხივებში, და ამნაირად გამოიანგარიშეს თუ რამდენ წუთს მოფრინავდენ სხივები ე. ი. სინათლე.

მაგრამ ესეც გაუგებარია, რადგან ვენერა თავისი გავლის დროს მზის სფეროს კი არ შეხებია, არამედ მასა და მზის შორის რამოდენიმე ასი ათასი ვერსი მანძილი იყო, ხოლო თუ ის გაივლიდა მის სიახლოვეს მოხდებოდა თუ არა რამე?

მეცნიერების გადმოცემა მართალია. ხსენებული მანძილი გაზომილი იქნა სწორედ ამ წესით, ე. ი. ცდომილ ვენერას გავლით მზისა და დედამიწის შორის.

ასეთ მომენტს იშვიათად აქვს ადგილი. მომავალში ვენერას ასეთი მდგომარეობა მეცნიერების გამოანგარიშებით უნდა ექნეს 2004 და 2012 წლებში.

მაშასადამე მეცნიერ ასტრონომებმა წინდაწინ იციან თუ როდის უნდა მოხდეს ეს. სწორედ ამ დროს ისინი აწარმოებენ თვალთვალს დედამიწის ერთმანეთიდან საგრძნობლად დაცილებულ ორი წერტილიდან.

ამ მიზნისთვის თავი რომ დავანებოთ წმინდა გეომეტრიულ საშვალებებს, რომლებსაც მიმართავენ მეცნიერები, იყენებენ აგრეთვე სინათლის სხივის მოძრაობის სიჩქარესაც.

ამისათვის წინასწარ ანგარიშობენ თუ როდის შეეხება ვენერა მზის სფეროს კიდეს, და შემდეგ კი უყურებენ ამ მომენტებს. ჩვენ ყოველთვის უფრო გვიან დავინახავთ მათ ვიდრე ისინი ხდებიან სინამდვილეში.

ეს დაგვიანება კი მით აიხსნება, რომ მიუხედავად იმისა, რომ სინათლის სხივი წარმოუდგენელი სიჩქარით მიჰქრის სივრცეში (წამში 300.000 ვერსს) მაინც ანდომებას ვენერიდან დედამიწამდე მოსვლისთვის განსაზღვრულ დროს (2 წუთი და 20 წამი). აქედან ადვილად შეიძლება გაგება მანძილის, რადგან ვიცით, რომ წამში სინათლის სხივი გადის 3000.000 ვერსს, რომელსაც გადავამრავლებთ წამთა რიცხვზე და მივიღებთ მანძილს ვენერასა და დედამიწის შორის.

**რადიო და ასტრონომია.**

ამას წინად პარიზში გარდაიცვალა მსოფლიოში ძლიერ ცნობილი და გამოჩენილი ასტრონომი კამილ ფლამარიონი. ფლამარიონმა რამოდენიმე ხნით ადრე სიცოცხლეში ფრანგულ ასტრონომიულ საზოგადოებას ჩაუდგა სათავეში და მისი ინიციატივით საფრანგეთის ფოსტა ტელეგრაფის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო რადიოზე ლექციების კითხვა.

ამ ლექციებმა, რომელსა[c] ატარებდა ღრმად მოხუცებ[ულ]ი ასტრონომი და მისი გ[ა]მოჩენილი ამხანაგები, დი[დი] ინტერესი გამოიწვიეს საზოგ[ა]დოებაში.

ამ მაგალითს წაბაძა ჟუ[რ]ნალ „რადიო და ბუნება“[,] რომელმაც მოაწყო რადიო[...]თი საბუნებისმეტყველო ისტო[...]რიული ლექციების კითხვა.

## სიმართლის აღსადგენათ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 148-ში მოთავსებულია ამხ. რამიშვილის საპასუხო წერილი, სადაც ის თავს იმართლებს ჩემს მიერ მასზე წაყენებულ ბრალდებაში, და თითქოს ჩემი წერილი, მისი აზრით, სიმართლეს არ შეეფერებოდეს.

წერილის ავტორი ამბობს: „ჩემთან, როგორც საქმის მწარმოებელთან, წითელ არმიელები არ დადიან არავითარ საქმეზეო“. გეკითხებით ამხ. რამიშვილო! დადიან თუ არა თქვენთან ლეგიონის ყველა ასეულების მეკუჭნავეები და გადამწერები, რომლებიც წითელ არმიელათ ირიცხებიან და რომლებსაც ვერავითარ საქმეზე მოსვლა თქვენთან ვერ გაუბედიათ, რადგან თქვენ ასე გყავთ ისენი დაშინებული. თქვენთან ოთახში შემოსვლის დროს ისენი ფეხის თითებზე დაიარებიან, რომ რამიშვილმა არ გაიგოსო.

„როგორ შეიძლება, რომ დამონებული მყავდეს ვინმე და ამას ნაწილის უფროსებიც ყურადღებას არ აქცევდენო“. ამხ. რამიშვილო, სწორეთ მეც მიკვირს თუ რატომ არ აქცევენ ამას სათანადო ყურადღებას და არ გთხოვენ თქვენ პასუხს.

მე თითონ მოწამე ვარ იმ[ი]სი, რომ ლეგიონის სამხკომ[მა] თქვენ რამოდენიმეჯერ გაგაფ[რ]თხილათ და თქვენ კი თქვ[ე]ნსას განაგრძობთ.

რაც შეეხება იმას, რომ ვ[ი]თომც თქვენ ყვირილი არ ი[ც]ოდეთ, ეს არ შეეფერება სი[]მართლეს. ეს რომ არ დაგეწ[ე]რათ უმჯობესი იქნებოდა, რა[]დგან ლეგიონის მთელმა შემა[]დგენლობამ კარგათ იცის თ[ქ]ვენი ხასიათი.

„ხშირად სამნეო ნაწილ[ში] შემოდიან უსაქმო პირები და[] ლაზღანდარობენო“. არც [ეს] არის მართალი, რადგან თქვენ[ს] სამუშაო ადგილი საკმაოთ[] დაშორებულია თვით ბანაკს [და] ვინ მოდის სათამაშოთ, პ[ი]დაპირ გაუგებარია.

რატომ დაგჭირდათ ამხ. რა[]მიშვილო, თქვენს შესახებ კო[]რესპონდენციის სამხკორის ძ[ე]ბნა.

ალბათ თქვენ გსურდათ გ[ა]გეგოთ, მისი დამწერი „დიდ[ი]“ კაცი იყო, თუ „პატარა“, [და] შემდეგ გაგეცათ პასუხი.

მე ნზად ვარ დაგიმტკიცო[თ] თქვენზე წამოყენებული ბრალ[]დება, როცა კი თქვენ მოისუ[]რვებთ.

სამხკორი **ლ.**

## ჩვენი ფოსტა.

ამხ. **პ. შ—ს.** (პირველი ლეგიონი) შამოიარეთ რედაქციაში.

ამხ. **ვარდს.** თქვენი წერილი „სურამი„ არ გამოდგა.

ამხ. **ი. ბ—ს.** თქვენი წერილი „ჩვენი საქმიანობა“ არ და[]ბეჭდება. კორესპონდენციაში არსებითად არაფერია ნ[]თქვამი. ეცადეთ მოგვაწოდოთ წერილები უფრო შინ[]არსიანი და ფაქტიური საყურადღებო მასალით.

ამხ. **მონასე მამალაძეს** თქვენი წერილი „მოგზაურობა ტე[]არმიელებისა თბილისში“ დაგვიანებულია არ გავა.

ამხ. **ჩასმანდს** კორესპონდენცია „მოგვეცით გადმოდუღებ[უ]ლი წყალი“, გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

ამხ. **ჯალიხეველს** თქვენი წერილი „რა უნდა იკითხოს წ[ი]თელ არმიელმა გაზეთში“ წვრილმანია. არ გავა.

ამხ. **სტურუას.** კორესპონდენცია „არტლეგიონის 4-ხე საგ[]უბიცო ბატ. კომუჯ. ცხოვრებიდან“ არ გამოდგა. სწ[ო]რეთ კონკრეტიულად თუ როგორი პრაქტიკული ნაბ[ი]ჯები იქნა გადადგმული ამა თუ იმ საკითხების მოსაგვ[ა]რებლად და სხვა.

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

1 ლ ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემო[]ტანილი აქვთ განცხადება საქ. კომ. პარტ. კანდიდატი ამ[ხ.] არკადი სტურუასაგან, რომელიც თხოულობს პარტიის წე[ვ]რად გადარიცხვას. ამხ. სტურუა სამტრედიის მცხოვრებია.

თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ამხ. სტურუას მი[]მართ, მისი პარტიის წევრად მიღებაზედ, გთხოვთ ერთი კვ[ი]რის განმავლობაში გვაცნობოთ შემდეგი მისამართით.

ქ ლამცესეანგრე ასეულის კომუჯრედში.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

ნ. დ. ს. წ. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.